უფასო

ჩემი გაზეთი

30 სექტემბერი
2016 წელი

№7 (17)

ბაღდათის მუნიციპალიტეტი, ა.(ა.)ი.პ. ინფორმაციის, ეთნოკულტურისა და ტურიზმის განვითარების ფონდი

15 და 19 სექტემბერს ბაღდათის მუნიციპალიტეტის საჯარო სკოლებსა და საბავშვო ბაღებში საზეიმო განწყობა სუფევდა. ახალი სასწავლო წლის დაწყება, ტრადიციულად, პომპეზურად აღინიშნა – სტუმრებით, მღელვარე პირველკლასელებით, პედაგოგებით და, არანაკლებ მღელვარე მშობლებით. სანახაობაზე უფრო საინტერესო, ვფიქრობთ, იმის გაგებაა, თუ როგორ შეხვდნენ ახალი სასწავლო წლის დაწყებას მუნიციპალური სკოლები და ბაღები, რა სამუშაოები ჩატარდა ზაფხულის პერიოდში და რა იგეგმება სამომავლოდ. ამის შესახებ ინფორმაციებს „ჩემი გაზეთის“ ჟურნალისტების მიერ მომზადებულ სტატიებში გაეცნობით, სანახაობას და ემოციებს კი ანა ფხალაძის ფოტორეპორტაჟებში იხილავთ.

საბავშვო ბაღები

ბაღდათის მუნიციპალიტეტის საბავშვო ბაღებში (გარდა როხისა და წყალთაშუას საბავშვო ბაღებისა) სწავლა 19 სექტემბერს დაიწყო. ჩვენს მუნიციპალიტეტში სულ 15 საბავშვო ბაღი ფუნქციონირებს: ორი ბაღია ქ. ბაღდათში, სამი – სოფელ დიმში, ასევე – ფერსათში, წითელხევში, როხში, ვარციხეში, დიდველაში, როკითში, I და II ობჩაში, წყალთაშუასა და ხანში.

ბაღდათის №1 საბავშვო ბაღში 6 ჯგუფია, ბაღდათის №2 საბავშვო ბაღში – 5, დიმის №1 საბავშვო ბაღში – 3, წითელხევის საბავშვო ბაღში – 3, დიმის №3 საბავშვო ბაღში – 2, ხოლო დანარჩენი სოფლების საბავშვო ბაღებში თითო. ასევე 2 ახალი, სასკოლო მზაობის ჯგუფები გაიხსნა ბაღდათის №1 და №2 საბავშვო ბაღებში.

2016 წელს სოფლის პროგრამით 3 საბავშვო ბაღი გარემონტდა: დიდველას, როხისა და როკითის საბავშვო ბაღები. როკითის საბავშვო ბაღში რეაბილიტაცია ჩაუტარდა სააქტო დარბაზს, დიდველას საბავშვო ბაღში საწყობი გარემონტდა, ხოლო როხის საბავშვო ბაღში სრულად შეიცვალა ელექტროგაყვანილობა, დამონტაჟდა ცენტრალური გათბობის სისტემა, მოხდა ბაღის გაზიფიცირება, მოწესრიგდა საპირფარეშოები, სამრეცხაო ოთახები, რეაბილიტაცია ჩაუტარდა პროდუქტების საწყობს და სამზარეულო ბლოკს, დერეფანში მთლიანად შეიცვალა იატაკი და შეიღება კედლები, ასევე ორივე ჯგუფის ოთხ ოთახში დაიგო ხის იატაკი.

ბაღდათის მუნიციპალიტეტში რეგიონული განვითარების ფონდის დაფინანსებით მიმდინარეობს 5 ახალი ბაღის მშენებლობა (ხანის, ფერსათის, I და II ობჩისა და დიმის №3 საბავშვო ბაღები), რომლებიც უახლოეს მომავალში უნდა დასრულდეს.

ახალ სასწავლო წელს **world vision** იმერეთის სამხარეო განვითარების პროგრამამ ბაღდათის ხუთ საბავშვო ბაღს საჩუქრად გადასცა ინვენტარი (სკამები, მაგიდები და კარადები).

მარიამ ოქროჭელიძე

გაგრძელება მე-3 გვ.

წიგნი სამ განზომილებაში

სექტემბერი ბაღდათის საბიბლიოთეკო ცხოვრებაში ფრიად მნიშვნელოვანი სიახლეებით გამოირჩა. საქმეს ისეთი პირი უჩანს, რომ სურვილი და მონდომება, პლუს პროფესიონალთა გვერდით დგომა და ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოების მხარდაჭერა, მნიშვნელოვნად სასიკეთოდ შეცვლის მუნიციპალური ბიბლიოთეკების ყოფას. პირველი ნაბიჯები უკვე გადადგმულია და თუ რაზე ვლაპარაკობთ, ამის გასაცნობათ, გირჩევთ, ქვემოთ წიგნის სამ განზომილებაში ვიმოგზაუროთ და სტატიებს გადაავლოთ თვალი.

წიგნ ოვაცია

ერთი შეხედვით, ამ უჩვეულო საათაურმა შესაძლოა მკითხველი დააბნიოს კიდეც, მაგრამ იმას, რაც 28 სექტემბერს ბაღდათის ჯანსუღ ღვინჯილიას სახელობის ცენტრალურ ბიბლიოთეკაში მოხდა, ზუსტადაც რომ მიესადაგება. 28 სექტემბერს ბაღდათის ცენტრალური ბიბლიოთეკის ინოვაციების ცენტრი გაიხსნა. „ჩვენ დღეს ვიხილეთ ბიბლიოთეკის, წიგნისა და ინოვაციური ტექნოლოგიების თანაარსებობის სანიმუშო მაგალითი, ბაღდათური პრეცედენტი საჩვენებელი და მისაბაძი უნდა გახდეს სხვა მუნიციპალიტეტებისთვის“ – ერთხმად აღნიშნავდნენ სტუმრები და ახალი ცენტრის მნახველები. სტუმრები კი მრავლად იყვნენ და მათგან სამს – ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების მინისტრს დიმიტრი ქუმსიშვილს, იმერეთში სახელმწიფო რწმუნებულს-გუბერნატორს გივი ჭიჭინაძეს და საქართველოს ინოვაციებისა და ტექნოლოგიების სააგენტოს თავმჯდომარეს ირაკლი ქაშიბაძეს ერგოთ ცენტრის საზეიმოდ გახსნის პატივი.

ბაღდათის მუნიციპალიტეტში ასეთი ცენტრის არსებობის ინიციატივა ინოვაციებისა და ტექნოლოგიების სააგენტოდან წამოვიდა, რასაც მხარი აუბა ადგილობრივმა თვითმმართველობამ. სააგენტოსა და ცენტრალური ბიბლიოთეკის თანამშრომელთა შეთანხმებული თანამშრომლობით შექმნილ ახალ სივრცეში კი, იქ მოსულ ახალგაზრდას, სურვილისამებრ, უნდა გალაკტიონის „ლურჯა ცხენებს“ გააქროლებს, უნდა – და ვინჩის გაეჯიბრება და 3D პრინტერით მონა ლიზას მისეულ ღიმილს მოაჩუქურთმებს. სხვა მრავალ სერვისთან ერთად, ბიბლიოთეკის ინოვაციების ცენტრში დისტანციურ ტრენინგებს ჩაატარებენ თბილისში არსებული ლაბორატორიები: „ჯეოლაბი“, „სიტი მულტილაბი“, „გეიმ ლაბი“ და „ფაბლაბები“.

გაგრძელება მე-2 გვ.

დასაწყისი 1 გვ.

წიგნის გზა და საკრებულოს მზაობა

კარგი ამბით დავიწყეთ, მაგრამ ბაღდათის საბიბლიოთეკო ქსელში დღეს არსებულ მდგომარეობას რომ დალხენილი არ ეთქმის, ჩვენზე უკეთ, აბა, ვინ იცის. რა დალხენაზე შეიძლება იყოს ლაპარაკი, როცა მუნიციპალიტეტში მხოლოდ სამი ბიბლიოთეკა მუშაობს: ბაღდათის ცენტრალური, სოფლების – დიმის და ფერსათის ბიბლიოთეკები. არადა, 2007 წლამდე 15 სოფლის ბიბლიოთეკას აკითხავდა მკითხველი. 2007-ში კი, ერთი ხელის მოსმით, საბიბლიოთეკო ცხოვრება მოკვდა, სიცოცხლე მხოლოდ ბაღდათის „წიგნის სახლს“ შეუნარჩუნდა, ორი წლის თავზე კი, დიმსა და ფერსათში გაიღო ბიბლიოთეკების კარი. ერთი სიტყვით, მწარე რეალობა ასეთია – გაუქმებული სოფლის ბიბლიოთეკები, უმეტესად მოუვლელი და განადგურებული წიგნადი ფონდი (რომლის ქონების განმკარგავი მუნიციპალიტეტის გამგეობაა). თუ რამ გადარჩა, სახლში გაშვებული ბიბლიოთაკარებისა და სოფლის მაცხოვრებელთა წიგნის სიყვარულისა და უანგარო მსახურების წყალობით. ერთი წლის წინ, ახალშექმნილი ა(ა)იპ ინფორმაციული უზრუნველყოფის, ეთნოკულტურისა და ტურიზმის განვითარების ფონდის (ფონდის დაქვემდებარებაშია საბიბლიოთეკო ქსელი) თაოსნობით და ბაღდათელ ბიბლიოთეკართა ძალისხმევით, ორი თვის მანძილზე მოვახერხეთ სოფლების ბიბლიოთეკებსა და მოსახლეობაში მიმოფანტული წიგნადი ფონდის აღრიცხვა-დახარისხება. წვიმასა და ქარში, მთასა თუ ბარში, ნესტსა და ობში დაუზარელმა, დაუღალავმა, თავისი საქმის პროფესიონალმა ქალბატონებმა შეუძლებელი შეძლეს – დღეს წიგნთა ფონდი შეძლებისდაგვარად მოწესრიგებულია, ხოლო სოფლებში – ობჩა, ზედა დიმი, როკითი-დიდველა, ვარციხე, წითელხევი, ზეგანი და საკრაულა – არსებობს იმის პირობები, რომ ბიბლიოთეკებმა სათანადოდ იმუშაონ. მაგრამ საამისოდ ჯერ კიდევ ბევრია გასაკეთებელი, უპირველესად, მათი დაკანონება და ბიბლიოთეკარის შტატის დაშვება, ამის გადაწყვეტა კი გამგეობისა და საკრებულოს პრეროგატივაა და რაოდენ სასიხარულოა, რომ 30 სექტემბერს გამართულ საკრებულოს სხდომაზე, როცა ჩვენი ფონდის გაწეული სამუშაოს ანგარიშის წარდგენის შემდეგ ეს საკითხი გავახმოვანეთ, დეპუტატთა სრულმა უმრავლესობამ მხარდაჭერა აღგვითქვა. საკრებულოს სიტყვიერ თანხმობას კი წინ უძღოდა საქართველოს საბიბლიოთეკო ასოციაციის დელეგაციის სტუმრობა ასოციაციის პრეზიდენტის, რუსუდან ასათიანის მეთაურობით. თბილისიდან წამოსულებს, ქალბატონებს ვუთხარი: ჩვენ ახლა ვაწყობთ ბიბლიო-ტურს ბაღდათში და ვივლით „წიგნის გზა“-ზე – თავდაპირველი გაკვირვება გულწრფელმა სასიხარულო და ამავდროულად სევდიანმა გაოცებამ შეცვალა, როცა ზემოთხსენებული სოფლების ბიბლიოთეკები მოვინახულეთ, იქაურებს ვესაუბრეთ და ფინიშის ხაზი ბაღდათის ცენტრალურ ბიბლიოთეკაში გადავკვეთეთ. ასოციაციის პრეზიდენტმა შთაბეჭდილებები გაუზიარა მუნიციპალიტეტის გამგებლის მოვალეობის შემსრულებელ გელა მშვილდაძეს და ის ხედვები და პროექტები გააცნო, რომლითაც შეუძლია ასოციაციას მნიშვნელოვანი დახმარება გაუწიოს აღდგენილ სოფლის ბიბლიოთეკებს. იმავე თემაზე გაგრძელდა საუბარი სამკითხველო დარბაზში, ამჟამად თბილისელ სტუმრებსა და მასპინძელ ქალბატონებს შორის. „წიგნის გზაზე“ დასახული მიზანი – დავუბრუნოთ ბიბლიოთეკები სოფლებს! – ვგონებ, ნაბიჯ-ნაბიჯ მიღწევადი ხდება.

ჩემი წიგნი ბაღდათს

ჩვენს მიერ დაანონსებულ აქციას – ჩემი წიგნი ბაღდათს – ჩვენდა გასაკვირად, დიდი გამოხმაურება მოჰყვა. ამ აქციით მოვუწოდეთ მსურველებს, მათი გემოვნებით შერჩეული წიგნებით გაემდიდრებინათ ბაღდათის ბიბლიოთეკები, წიგნები კი სახელდახელოდ მოწყობილ კუთხეებში მოთავსდებოდა. ნათია ჟვანიამ საბავშვო ლიტერატურა, ბაღდათის მაჟორიტარმა დეპუტატმა პაატა კიკნაველიძემ უახლესი გამოცემები და იურიდიული ლიტერატურა, მადონა ხაზარაძემ და შალვა გუმბერიძემ წიგნიერი ბაღდათელის, იუზა ხაზარაძის მდიდარი საოჯახო ბიბლიოთეკიდან მრავალფეროვანი საკითხავი, ხოლო თამარ ერისთავმა ნიუ იორკიდან წიგნებთან ერთად უახლესი ტექნოლოგიებით შექმნილი საბავშვო სათამაშოები უსახსოვრეს ბიბლიოთეკებს.



ძვირფასო ბაღდათელებო!

როგორც იცით, ბაღდათის ცენტრალურ ბიბლიოთეკაში გაიხსნა ინოვაციების ცენტრი, რომელიც მოსახლეობას სთავაზობს მრავალპროფილიან მომსახურებას. ბაღდათელებს, უპირველესად კი ახალგაზრდებს, საინფორმაციო ტექნოლოგიებთან მუშაობის, შეხვედრების და დისკუსიების გამართვის კარგი შესაძლებლობა ეძლევათ.

ინოვაციების ცენტრის მიზანია, საინფორმაციო ტექნოლოგიებთან წვდომის, დისტანციური სწავლებისა და დასაქმების სისტემების მოსახლეობაში დანერგვის გზით, აგრეთვე ინოვაციური და მეწარმული ცოდნისა და უნარების განვითარებით, საქართველოს მოსახლეობის კონკურენტუნარიანობის ამაღლება.

ინოვატორებს, გამომგონებლებს, ბიზნეს იდეის ავტორებს შეეძლებათ სწორად ჩამოაყალიბონ თავიანთი აზრი, შექმნან ახალი ინოვაციური პროექტები, დაწერონ ბიზნეს გეგმები და განახორციელონ ბიზნეს პროექტები.

ინოვაციების ცენტრში იგეგმება ყოველკვირეული ტრენინგები შემდეგი მიმართულებით:

- სოციალური მედია და კომპიუტერული პროგრამირება - სადაც მსურველები შეისწავლიან ინფორმაციულ-საკომუნიკაციო ტექნოლოგიებს, თუ რა როლი აქვთ მათ ჩვენს ყოველდღიურ ცხოვრებაში; **Microsoft Office** – საოფისე პროგრამებს, ელექტრონული ფოსტის შექმნას, დარეგისტრირებას, **email**-ების წერას, **Google Drive** და ა.შ.
- რა არის პროგრამირება, ვებ დიზაინი, **freelancing.**
- ვებ ბრაუზერები – რა ფუნქციებს ატარებენ ისინი, რომელ ბრაუზერს აქვს მეტი შესაძლებლობა, ინტერნეტის შექმნის ისტორია, ინფორმაციის მოძიების მარტივი გზები.
- ოპერატიული სისტემები - მათი სტრუქტურა, მონაცემთა ბაზები, მათი შენახვის პრინციპები.
- წიგნის ილუსტრაცია, ანიმაცია, ვიდეო თამაშები; **Photoshop**, ციფრული ფოტოგრაფია, ვიდეო გადაღება და მონტაჟის ხელოვნება, კომპიუტერული გრაფიკა და ვიზუალური ეფექტები.
- **Lego robotebis** აწყობა და პროგრამირება.
- **Little Bits da Arduino**
- 3D პრინტერი – რა შესაძლებლობები აქვს მას, როგორ იქმნება მოდელი, მათი და მზადება და გამოყენება.
- საგანმანათლებლო პორტალები და დისტანციური სწავლება (**KhanAcademy, Teach.ge** და ა. შ.)
- მომხმარებლებს გაუწევენ კონსულტაციებს იდეებისა და პროექტების ჩამოსაყალიბებლად, დაეხმარებიან სხვადასხვა სფეროს შესახებ ინფორმაციის მოძიებაში, მთავრობისგან დაგეგმილი პროექტების, სახელმწიფო გრანტებისა და პროგრამების შესახებ ინფორმაციის მიღებაში, ასევე ბიზნეს იდეების კონკურსებში დარეგისტრირებაში
- ჩატარდება ვიდეო ლექციები და სემინარები თემაზე ბიზნეს იდეა ტექნოლოგიურ სფეროში (6 კვირიანი პროგრამა), მოეწყობა პირდაპირი ტრანსლაცია თბილისის ტექნოპარკიდან, სადაც ტრენინგებს გაუძღვებიან მაღალკვალიფიციური ტრენერები.
- ასევე ვიწვევთ მოხალისეებს ჩვენთან თანამშრომლობისთვის. შეიქმნება კლუბური სისტემა, სადაც მოხალისეები დარეგისტირდებიან მენტორებად. მათ ექნებათ შესაძლებლობა მოიპოვონ გრანტი ღონისძიების ჩასატარებლად, აიღონ პასუხისმგებლობა კლუბების დაკომპლექტებაზე, მოიფიქრონ კლუბის სახელი, გაწერონ აქტივობები და ა.შ. ვისაც აქვს ამის სურვილი და შეუძლია ჩაატაროს ტრენინგები ზემოთ ჩამოთვლილ თემატიკასთან დაკავშირებით, გთხოვთ გაიაროთ რეგისტრაცია ინოვაციების ცენტრში, და მიუთითოთ, ვის რა ტრენინგის ჩატარება სურს.



ინოვაციების ცენტრი იქნება ღია სივრცე, სადაც მომხმარებლებს, სკოლის მოსწავლეებსა და უფროსი ასაკის დაინტერესებულ ადამიანებს, შესაძლებლობა ექნებათ გამართონ შეხვედრები, დისკუსიები და იმუშაონ ჯგუფურად ცენტრში არსებული ლეპტოპებით.

ინოვაციების ცენტრში შესაძლებელი იქნება ვიდეო კონფერენციების პირდაპირი გაშუქება.

ვიმედოვნებთ, რომ ბაღდათის ბიბლიოთეკის ინოვაციების ცენტრი ჩვენი საზოგადოების განვითარების რეალურ შესაძლებლობად იქცევა.

საჯარო სკოლები

დასაწყისი 1 გვ.

მუნიციპალიტეტის *21-მა საჯარო სკოლამ წლეულს, ბოლო პერიოდთან შედარებით, სარეკორდო, 277 პირველკლასელი მიიღო. ქვემოთ გაგაცნობთ თითოეული სკოლის მონაცემებს და იმ სამუშაოების ჩამონათვალს, რომლებიც ზაფხულის პერიოდში ჩატარდა:* **ბაღდათის №1 საჯარო სკოლა** – 31 პირველკლასელი. რეაბილიტირებულია პირველი კლასებისთვის ორი საკლასო ოთახი, ეზოში შემოსასვლელთან და მეორე კორპუსში მოეწყო პანდუსი, შეკეთდა პირველი კორპუსის დაზიანებული ჭერი, დამონტაჟდა სტიქიის დროს დაზიანებული და მწყობრიდან გამოსული კალათბურთის ფარები; **ბაღდათის №2 საჯარო სკოლა** – 69 პირველკლასელი. მოხდა გათბობის სისტემის, სპორტული დარბაზისა და დაწყებითი კლასებისათვის განკუთვნილი კორპუსის რეაბილიტაცია, გარემონტდა 5 საკლასო ოთახი; **ფერსათის №1 საჯარო სკოლა** – 7 პირველკლასელი. შეიღება დერეფნისა და საკლასო ოთახების იატაკი; **ფერსათის №2 საჯარო სკოლა** — 18 პირველკლასელი. სამი ოთახის მთლიანი რეკონსტრუქცია და შეკეთება, მოეწყო სკოლის გათბობის სისტემა და შესრულდა გაზმომარაგების სამუშაოები; **ვარციხის საჯარო სკოლა** – 13 პირველკლასელი. განათლების სამინისტროს დაფინანსებით მიმდინარეობს სკოლის სახურავის, ადაპტირებული სველი წერტილებისა და ექიმის კაბინეტის მოწყობა; **როკითის საჯარო სკოლა** – 11 პირველკლასელი. მოგვარდა გათბობასთან დაკავშირებული პრობლემები, აშენდა ახალი ადაპტირებული საპირფარეშო, გარემონტდა დაწყებითი საფეხურის ერთი ოთახი; **ნერგეეთის საჯარო სკოლა** – 7 პირველკლასელი. მოხდა ღობის ნაწილობრივი, ბარდიურებისა და ჭიშკრის რეაბილიტაცია, მოპირკეთდა სააქტო დარბაზისა და საკლასო ოთახის იატაკები, მოეწყო დამხმარე შენობის სარინელი და გამოიცვლა სანიაღვრე ღარები; **წყალთაშუას საჯარო სკოლა** – 7 პირველკლასელი. მოეწყო სპორტული მოედანი; **ზეგნის №1 საჯარო სკოლა** – 1 პირველკლასელი. გამოიცვალა სამასწავლებლო ოთახის იატაკი; **ზეგნის №2 საჯარო სკოლა** – 4 პირველკლასელი. შემოიღობა ეზო და მისასვლელ ბილიკზე დაიგო ბეტონის ფილები. გაკეთდა სკოლის ელექტროგაყვანილობის მონტაჟი; **ხანის საჯარო სკოლა** – 8 პირველკლასელი. ჩაისვა მეტალო პლასტმასის ფანჯრები; **საკრაულის საჯარო სკოლა** – 2 პირველკლასელი. ჩაისვა მეტალო პლასტმასის ფანჯრები; **როხის საჯარო სკოლა** – 16 პირველკლასელი. გარემონტდა ექიმის ოთახი, აშენდა ადაპტირებული საპირფარეშო; **დიმის №1 საჯარო სკოლა** – 23 პირველკლასელი. გაკეთდა რესურსოთახი, 1-ა და 1-ბ კლასების სასწავლო ოთახების კოსმეტიკური რემონტი; **დიმის №2 საჯარო სკოლა** – 6 პირველკლასელი. გაილესა და შეიღება კედლები, დერეფანში დაიგო ლამინატის იატაკი, მოწესრიგდა სპორტული მოედანი და გაკეთდა რკინის მესერი, სპორტული ოთახისთვის შეძენილ იქნა ხის იატაკი; **პირველი ობჩის საჯარო სკოლა** – 2 პირველკლასელი. გაილესა და ცემენტის ხსნარით დაიშხეფა სკოლის გვერდითი და უკანა კედლები. შეიღება სკოლის ფასადი, გამოიცვალა სახურავიდან წყლის მიმღები ღარები და მილები, ფანჯრებს გაუკეთდა საცრემლეები. ჩაისვა 4 მეტალო პლასტმასის ფანჯარა; **მეორე ობჩის საჯარო სკოლა** – 11 პირველკლასელი. კოსმეტიკური რემონტი ჩაუტარდა ორ საკლასო ოთახს, სამასწავლებლოსა და დირექტორის კაბინეტს; **სსიპ გ. გეწაძის ობჩის საჯარო სკოლა** – 12 პირველკლასელი. გარემონტდა ერთი საკლასო ოთახი, დირექტორის კაბინეტი, შეკეთდა სკოლის გარე ფასადის დაზიანებული კედელი; **სსიპ ტარიელ კვირიკაშვილის წითელხევის საჯარო სკოლა** – 14 პირველკლასელი; სსიპ კოტე ფოცხვერაშვილის **წითელხევის საჯარო სკოლა** – 4 პირველკლასელი. ბიბლიოთეკის ოთახს ჩაუტარდა რეაბილიტაცია.

მოსწავლეთა ტრანსპორტირება ხდება 8 საჯარო სკოლაში და ემსახურება 325 მოსწავლეს.

მონაცემები მოგვაწოდა ბაღდათის საგანმანათლებლო რესურსცენტრმა

უხუცესი და უფროსზე ახალგაზრდა

ახალ სასწავლო წელთან დაკავშირებით, „ჩემი გაზეთის“ გუნდმა გადავწყვიტეთ ჩვენს მუნიციპალიტეტში ყველაზე ახალგაზრდა და ყველაზე უხუცეს პედაგოგთან გასაუბრება. მათ შესახებ ინფორმაცია ბაღდათის საგანმანათლებლო რესურსცენტრმა მოგვაწოდა. ყველაზე უხუცესი პედაგოგი გახლავთ 83 წლის იური ბურჯანაძე, რომელიც გიორგი გეწაძის სახელობის ბაღდათის მუნიციპალიტეტის სოფელ პირველი ობჩის საჯარო სკოლაში ფიზიკა-მათემატიკას ასწავლის, ხოლო ყველაზე ახალგაზრდა, 24 წლის გვანცა გუმბერიძეა, ის სოფელ ფერსათის №1 საჯარო სკოლაში ინგლისურის პედაგოგად მუშაობს.

იური ბურჯანაძე დაიბადა 1933 წელს. 1951 წელს დაამთავრა გიორგი გეწაძის სახელობის ბაღდათის მუნიციპალიტეტის სოფელ პირველი ობჩის საჯარო სკოლა, იმავე წელს სწავლა განაგრძო ალექსანდრე წულუკიძის სახელობის პედაგოგიურ ინსტიტუტში ფიზიკა-მათემატიკის ფაკულტეტზე. განათლების სამინისტროს ბრძანებით, სწავლის დამთავრების შემდეგ გაანაწილეს სოფელ ფერსათის №1 საჯარო სკოლაში ფიზიკა-მათემატიკის მასწავლებლად. როგორც ბატონი იური ამბობს, პედაგოგობა ძალიან უყვარდა, მაგრამ ფერსათის სკოლაში იმდენად კარგი მასწავლებლები დახვდენენ, რომ ეს პროფესია კიდევ უფრო შეაყვარეს. ესენი იყვნენ: რუბენ ყიფიანი – სკოლის დირექტორი, ზოსიმე ყიფიანი – რუსულის მასწავლებელი, სონა ქოჩიაშვილი – სასწავლო ნაწილის გამგე, სპირიდონ ჯიხვაძე – ქიმიის მასწავლებელი და სხვა. ბატონი იური ასევე თბილად იხსენებს პირველ მოსწავლეებს. ფერსათის სკოლაში ორწლიანი მუშაობის შემდეგ ისევ განათლების სამინისტროს ბრძანებით გადაიყვანეს გიორგი გეწაძის სახელობის ბაღდათის მუნიციპალიტეტის სოფელ პირველი ობჩის საჯარო სკოლაში (როგორც თვითონ ამბობს – „ჩემს სკოლაში“) და დღემდე იქ მუშაობს. აქაც განსაკუთრებული სიყვარულით იხსენებს გამორჩეულ მოსწავლეებს, რომლებიც მრავლად არიან. მათ შორისაა: მურად ბურჯანაძე, მურად მაჭავარიანი, ინგა მაჩიტიძე, მაკა მესხი, თინა კელენჯერიძე. ბატონი იური დიდი ტკივილით საუბრობს 1998 წლის შემდგომ პერიოდზე, მას ერთადერთი ვაჟი ავიაკატასტროფაში დაეღუპა. ამ უბედური შემთხვევის შემდეგ იური ბურჯანაძემ ყველაფერზე ხელი ჩაიქნია და სამსახურზე თავის დანებება უნდოდა, მაგრამ დედმამიშვილებმა, თანამშრომლებმა და ახლობლებმა ამის საშუალება არ მისცეს – მას ხომ 2 წლის შვილიშვილი ჰყავდა

აღსაზრდელი. მისივე თქმით, ამ წლებს ბედნიერს ვერ უწოდებს, მაგრამ იმდენს კი მიაღწია, რომ შვილიშვილს მათემატიკა ასწავლა და დღეს საქართველოს ეროვნული უნივერსიტეტის მე-3 კურსის სტუდენტია. ბატონი იური 61 წელია, რაც ობჩის სკოლაში მუშებს, მას არც იმ პერიოდში მიუტოვებია პედაგოგობა, როდესაც ერთი თვის ხელფასით მხოლოდ ერთ ლიტრ ზეთს ყიდულობდა. მუშაობის გაგრძელებას კიდევ ერთი წელი აპირებს, რათა შვილიშვილს დაეხმაროს სწავლის დასრულებაში (როგორც ვიცით, სწავლა ფინანსებთანაა დაკავშირებული).

გვანცა გუმბერიძე 1992 წლის 23 მარტს დაიბადა. დაამთავრა ბაღდათის №2 საჯარო სკოლა და სწავლა აკაკი წერეთლის სახელობის ქუთაისის სახელმწიფო უნივერსიტეტში ინგლისური ენისა და ლიტერატურის სპეციალობით განაგრძო. სწავლის დამთავრებისთანავე მუშაობა დაიწყო სოფელ წითელხევის კოტე ფოცხვერაშვილი სახელობის საჯარო სკოლაში ინგლისური ენის პედაგოგად. იქ ერთი წელი იმუშავა და შემდეგ სოფელ ფერსათის №1 საჯარო სკოლაში გადავიდა. ამჟამად მე-2, მე-3, მე-8, მე-10 და მე-11 კლასებს ასწავლის ინგლისურ ენას. როგორც თავად ამბობს, მასწავლებლობა ძალიან უნდოდა, რადგან ბავშვებთან ურთიერთობა ყოველთვის უყვარდა. მოსწავლეებთან ძალიან კარგი და მეგობრული ურთიერთობა აქვს. გვანცა ამჟამად დეკრეტულ შვებულებაშია და 2 თვის შვილს ზრდის. ის მომავალში პროფესიულ წინსვლას გეგმავს.

ანა ქორიძე

ანა-
რეკლი

ფესვები

მეფე ფარნავაზის მოღვაწეობა და დიმნას (დიმის) ციხე

დღევანდელ ნომერში ვბეჭდავთ ზურაბ თოლორდავას ისტორიულ ნარკვევს – „მეფე ფარნავაზის მოღვაწეობა და „დიმნას (დიმის) ციხე“. საგაზეთო ფორმატის სიმცირის გამო, ვინაიდან ნარკვევი საკმაო ვრცელია, შემოგთავაზებთ აღნიშნული ნაშრომის პირველ ნაწილს.

დღეისათვის სხვადასხვა თაობის ქართველი ისტორიკოსების დიდი ნაწილი, იზიარებს იმ აზრს, რომ ქართველურ ტომთა და სრულიად საქართველოს პირველი გამაერთიანებელი ფარნავაზ მეფეა, რომლის ზეობის პერიოდი ქრ. შ-მდე 303-238 წლებით განისაზღვრება.

„ქართლის ცხოვრების“ ჩვენამდე მოღწეულ პირველ ქრონიკაში „ცხოვრება ქართველ მეფეთა და პირველთაგანთა მამათა და ნათესავთა“ – უძველესი დროიდან V ს-მდე, XI ს-ის ქართველი ისტორიკოსი ლეონტი მროველი გვაუწყებს, რომ ფარნავაზი მცხეთის მამასახლის სამარას ძმისწული იყო. ქრ. შ-მდე დაახლოებით 327 წელს ქართლში პონტოდან ძლიერი ბერძნული ლაშქრით მოსულა ვინმე აზონი (ზოგიერთი ქართველი ისტორიკოსის აზრით, აზონი არიან ქართლის მეფის ძეა. ზოგს კი მიაჩნია, რომ იგი ალექსანდრე მაკედონელის ერთ-ერთი სარდალი იყო), თუმცა ტომით ქართველი, მაგრამ დაუნდობელი და სასტიკი სარდალი. მისი ბრძანებით დახოცეს მამასახლისი სამარა და მისი ძმა. აზონი ქართლის ერისთავი გახდა; მის დროს მემატიანის სიტყვებით: „იყო ჭირი დიდი ნათესავთა ზედა ქართველთასა“... მოგვიანებით ჭაბუკმა ფარნავაზმა თბილისის მიდამოებში ნადირობისას საგანძური იპოვნა უამრავი ოქრო-ვერცხლით, რამაც შესაძლებლობა მისცა თავის გარშემო შემოეკრიბა საომარი ძალები; დაუკავშირდა ეგრისის ერისთავ ქუჯის და მასთან საერთო ძალისხმევით დაიპყრო მცხეთა. შემდეგ გამოედევნა კლარჯეთში გაქცეულ აზონს და ბრძოლა გამარჯვებით დაამთავრა. აზონი ამ ბრძოლაში დაიღუპა.

ეს ამბავი ქრ. შ-მდე 303 წელს მოხდა. ფარნავაზმა "...მასვე წელიწადსა შინა დაიპყრო ყოველი ქართლი თვინიერ კლარჯეთისა" ("ქართლის ცხოვრება"). იგი ამ დროს 27 წლის იყო და იმთავითვე საოცარი ენერგიითა და მონდომებით შეუდგა მეფობას; ახალგაზრდა მეფეს მშვენივრად ესმოდა, რომ მისი დიდი პოლიტიკური ჩანაფიქრის – ქართველური ტომებისა და სრულიად საქართველოს გაერთიანების საქმეში მარტო ეგრისის ერისთავ ქუჯის თანადგომა არ კმაროდა, არ კმაროდა, არც ჩრდილო კავკასიელ მთიელებთან დამოყვრება (ფარნავაზს ცოლად ჰყავდა ჩრდილო კავკასიელ დურძუკთა ბელადის ასული. თავის დათაგან ერთი ოვსთა მეფეს მისცა ცოლად, ხოლო მეორე ეგრისის ერისთავ ქუჯის). ამიტომ საჭირო იყო ძლიერი მოკავშირე სახელმწიფოს პოვნა, რომელთანაც სამოკავშირეო ურთიერთობა დიდად წაადგებოდა ფარნავზის შორსმიმავალ პოლიტიკურ მიზნებს. ასეთად მას მიაჩნდა ალექსანდრე მაკედონელის ერთ-ერთი ყოფილი სარდლის სელევკის მიერ დაარსებული სელევკიანთა სახელმწიფო.

ალექსანდრე მაკედონელის იმპერიის დაშლის შემდეგ, ქრ. შ.-მდე 323 წლიდან, მის მიერ ადრე დაპყრობილ ტერიტორიებზე ელინისტური სახელმწიფოები აღმოცენდნენ. მათგან ქრ. შ-მდე IV ს-ის ბოლოსათვის ყველაზე ძლიერი და ტერიტორიით უდიდესი ელინისტური სახელმწიფო, სწორედ სელევკიდების სახელმწიფო იყო. მის შემადგენლობაში შედიოდა: სპარსეთი, მიდია, ელამი, ბაქტრია, პართია, მესოპოტამია, სირია, სომხეთის დიდი ნაწილი. დედაქალაქი იყო ქ. ანტიოქია, სირიაში, მდინარე ორონტზე. ქრ. შ-მდე 305-281 წლებში სელევკიდების სახელმწიფოს განაგებდა სელევკიდების დინასტიის წარმომადგენელი, ალ. მაკედონელის ყოფილი სარდალი სელევკ I ნიკატორი, რომელიც სელევკიანთა სახელმწიფოსა და სელევკიანთა დინასტიის დამაარსებელია. „ქართლის ცხოვრება“ სელევკიდების სახელმწიფოს ასურასტანს უწოდებს, ხოლო მის მეფეს ანტიოქოსს, რომელიც სელევკიდების დინასტიის წარმომადგენელთა საერთო სახელი იყო.

„ქართლის ცხოვრებაში“ ვკითხულობთ: „ამან ფარნავაზ წარავლინნა მოციქულნი წინაშე მეფისა ანტიოქოსს ასურასტანისა (აქ იგულისხმება სელევკ I ნიკატორი. სხვათაშორის, ქართულ საისტორიო წყაროებში მოიპოვება ცნობა იმის შესახებ, რომ ფარნავაზიანთა დინასტიის მეორე წარმომადგენელი – ფარნავაზის ვაჟი, მეფე საურმაგი სელევკიანთა სახელმწიფოსთან კეთილმეზობლურ ურთიერთობაში იყო) და წარსცა ძღუენი დიდძალი და აღუთქვა მას მსახურება... ხოლო ანტიოქოსს შეიწყნარა ძღუენი მისი, და უწოდა შვილად თვისად, და წარმოსცა გვირგვინი... ოცდაშვიდისა მეფე იქმნა, და სამეოცდახუთ წელ მეფობდა ნებიერ“...

„ქართლის ცხოვრებაში“ დაცული ცნობების თანახმად, ფარნავაზ მეფეს განუხორციელებია მრავალი ღონისძიება და რეფორმა, რომელიც მისი გამეფების პირველსავე წლებში ქართველი ტომებისა და სრულიად საქართველოს – დასავლეთისა და აღმოსავლეთის გაერთიანებას მოჰყვა.

საქართველო ფარნავაზმა 8 ადმინისტრაციულ ერთეულად – საერისთავოებად დაჰყო. სულ იყო 8 საერისთავო: პირველი – ეგრისის (სამეგრელო და სვანეთი); განაგებდა ერისთავი ქუჯი, ფარნავაზის უერთგულესი ქვეშევრდომი.



მეორე – არგვეთის (ლიხის ქედსა და შორაპანს შორის); არგვეთის, იგივე მარგჳს საერისთავოში შედიოდა აგრეთვე მდ. რიონის სამხრეთ-აღმოსავლეთით მდებარე „დიმნას ქვეყანაც“ – დღევანდელი ბაღდათის მუნიციპალიტეტის ვაკე ტერიტორიის ერთი ნაწილი.

მესამე – კახეთის (არაგვსა და ჰერეთს შორის);

მეოთხე – ხუნანის (გარდაბანი, მდინარე ბერდუჯიდან – ტფილისსა და გაჩიანამდე);

მეხუთე – სამშვილდის (ტაშირი და აბოცი);

მეექვსე – წუნდის (ჯავახეთი, კოლა და არტაანი);

მეშვიდე – ოძრხის (სამცხე და აჭარა);

მერვე კლარჯეთის (არსიანიდან შავ ზღვამდე).

თითოეულ ამ საერისთავოს განაგებდა ერისთავი, რომელიც ფარნავაზის მიერ იყო ხელდასმული. თავის მხრივ ერისთავებს ემორჩილებოდა საერისთავოების სპასალარები და ასისთავები, რომლებიც უზრუნველყოფდნენ საერისთავო და სამეფო ხარკის აკრეფას.

ამათ გარდა, ფარნავაზმა დააარსა კიდევ ერთი საერისთავო – შიდა ქართლისა (ტფილისიდან ტაშისკარამდე), რომელიც საგანმგებლოდ გადასცა მთავარსარდალს, სპასპეტს; იგი ითვლებოდა ყველა საერისთავოს ზედამდგომად.

ქართული დამოუკიდებელი სახელმწიფოს დაარსებისა და გაერთიანებული ქართული სახელმწიფოს ჩამოყალიბების შემდგომ, მეფის ხელისუფლების განმტკიცების, სახელმწიფოს მართვა-გამგეობის სისტემის შემუშავებისა და სამხედრო-ადმინისტრაციული, თუ ეკონომიკური რეფორმების ჩატარების შემდგომ, ფარნავაზ მეფემ კულტურული ხასიათის ზოგადსახელმწიფოებრივი მნიშვნელობის რეფორმებიც განახორციელა. მათგან უპირველესი იყო ქართული ენის რეფორმა.

„ქართლის ცხოვრება“ გვაუწყებს: „ამან (ფარნავაზ) განავრცო ენა ქართლისა, და არღარა იზრახებოდა სხუა ენა ქართლსა შინა თვინიერ ქართულისა. და ამან შექმნა მწიგნობრობა ქართული“. ბუნებრივია, ერთიან ქართულ სახელმწიფოში უნდა შემოღებულიყო სრულიად ქართული სახელმწიფო ენა, რომელიც საერთო იქნებოდა ყველა ქართული ტომისათვის და მას საფუძვლად დაედო აღმოსავლურ ქართული (ქართლის) დიალექტი, ხოლო ქართულ სახელმწიფო დამწერლობად ქართული ასომთავრული ანბანი იქნა შემოღებული (მსოფლიოში არსებულ 14 ანბანთაგან ქართული ასომთავრული ანბანი ერთ-ერთი უძველესია. თანამედროვე ანბანი – „მხედრული“, ასომთავრულისა და ნუსხურის ევოლუციურ განვითარებას წარმოადგენს). შესანიშნავმა ქართველმა ენათმეცნიერმა რამაზ პატარიძემ, უამრავ ქართულ, თუ არაქართულ წყაროებზე დაყრდნობით ბრწყინვალედ დაამტკიცა, რომ ქართული ანბანი ფარნავაზამდე 100 წლით ადრე, ქრ.შ-მდე IV საუკუნეში უნდა იყოს შექმნილი ფინიკიური ანბანის საფუძველზე. მეფე ფარნავაზმა კი ქართული ანბანი მის მიერვე გაერთიანებული ქართველური ტომებისა და სრულიად საქართველოს ერთადერთ დამწერლობად შემოიღო. ეს მოხდა ქრ. შ-მდე 284 წელს, ფარნავაზის მეფობის მე-19 წელიწადს.

ბუნებრივია იბადება კითხვა: როგორ მოხდა ქართული ანბანის ქართულ სახელმწიფო დამწერლობად შემოღების ასეთი ზუსტი დათარიღება? ამ კითხვაზე ამომწურავ პასუხს რამაზ პატარიძის კვლევები იძლევა. მან ერთ-ერთმა პირველმა აღმოაჩინა და ყურადღება მიაქცია იმ გარემოებას, რომ სახელოვან ქართველ ისტორიკოსს ვახუშტი ბაგრატიონს თავის ისტორიულ ანალებში აქვს ერთი საყურადღებო ცნობა: „ამ ფარნაოზის მეფობის **ით** (19) წელს ქართული ხუთასიანი ქკნი (იგივეა, რაც ქორონიკონი, ანუ „მოქცევა“) **ი**-ჯერ (10 ჯერ) მობრუნებული განვიდა და მეთერთმეტე იწყების“. რა შეიძლება ითქვას ვახუშტის ამ ძვირფასი ცნობის შესახებ? – სვამს კითხვას მკვლევარი და წერს:

„როგორც ცნობილია, უძველესი ქართველები დასაბამიდან, ქრ. შ-მდე 5604 წელს ანგარიშობდნენ. დღეს გარკვეულია, რომ ფარნავაზის ზეობა ქრ. შ-მდე 303 წელს იწყება. მისი ზეობიდან 19 წლის გასვლის შემდეგ დგება 284 წელი. ქართული 532 წლიანი მოქცევა, იგივე ქორონიკონი 10-ჯერ შემობრუნების შემდეგ გვაძლევს რიცხვს 5320. დავუმატოთ ამ რიცხვს ფარნავაზის ზეობის მე-19 წელი ქრ. შ-მდე 284: (5320+284=5604) მივიღებთ 5604 წელს.

თუ გავითვალისწინებთ იმასაც, რომ ქართველმა ისტორიკოსებმა უკვე დაადგინეს ფარნავაზ მეფის მეორე დიდი მნიშვნელობის რეფორმის – ახალი ქართული ეროვნული კალენდრის, ეროვნული ქართული წელთაღრიცხვის შემოღების თარიღი – ქრ. შ-მდე 284 წელი, მივიღებთ ამ ორი უდიდესი მოვლენის (ქართული ასომთავრული ანბანისა და ახალი ქართული წელთაღრიცხვის შემოღება) საოცარ ქრონოლოგიურ თანხვდომას“.

ამის შესახებ დიდი ქართველი მეცნიერი პავლე ინგოროყვა წერდა: „ფარნავაზის დროს... მომხდარა რეფორმა კალენდარისა, შემოღებული იქნა ადგილობრივი ეროვნული ქართული წელთაღრიცხვა, რომლის დასაბამად მიღებულია 284 წელი ძველი წელთაღრიცხვისა... ცნობა, რომ ფარნავაზმა შექმნა მწიგნობრობა, ქრონოლოგიურად ემთხვევა ამ ხანას, კალენდარის რეფორმას, ქართული ადგილობრივი წელთაღრიცხვის შემოღებას 284 წელს... ეს წელი არის გამოსავალი თარიღი, რომელიც შემდეგ საფუძვლად დაედო ქართული ქორონიკონის სისტემას“.

ამრიგად, ქართული დამწერლობა და ეროვნული წელთაღრიცხვა ერთდროულად არის შემოღებული ფარნავაზის მიერ ქრ. შ-მდე 284 წელს. ფაქტობრივად ამ თარიღიდან იწყება ახალი ქართული ერა, რომლის საწყისად შეიძლება ჩაითვალოს მეფე ფარნავაზის გამეფება – ქრ. შ-მდე 303 წელს; მისი მომძლავრებისა და სრულიად საქართველოს საბოლოო გაერთიანების შემდეგ, ზეობის მე-19 წელიწადს, ქრ. შ-მდე 284 წელს – ქართული ანბანისა და ახალი ქართული კალენდრის შემოღება.

„ქართლის ცხოვრების“ თანახმად, მეფე ფარნავაზი დიდ აღმშენებლობით საქმიანობასაც ეწეოდა; მან გაამშვენიერა და ახალი ქვის კედელ-ზღუდეებით გაამაგრა სატახტო ქალაქი მცხეთა და არმაზ-ციხე, სადაც აღმართა ქართველთა მაშინდელი მთავარი ღვთაება არმაზის კერპი: „იდგა კაცი ერთი სპილენძისა და ტანსა მისსა ეცვა ჯაჭვი ოქროჲსა, და ჩაფხუტი ოქროჲსა და სამხარნი ესხნეს ფრცხილი და ბივრიტი, და ხელსა მისსა აქვნდა ხრმალი ღესული, რომელი ბრწყინვიდა და იქცეოდა ხელსა შინა...“ („ქართლის ცხოვრება“). ფარნავაზმა აღადგინა მტრის, თუ სტიქიის მიერ დაქცეული ციხე-სიმაგრენი. თავად წამოიწყო ახალ ციხე-ქალაქთა მშენებლობა; ეგრისის ერისთავ ქუჯისთან ერთად ეგრისში, დღევანდელი ქალაქ სენაკის სიახლოვეს, აღაშენა დიდებული ციხე-ქალაქი – ციხე-გოჯი (ვფიქრობთ, მკითხველისათვის არ იქნება უინტერესო ტოპონიმ ციხე-გოჯის ეტიმოლოგიური შინაარსის დადგენა); სარგის კაკაბაძე ტოპონიმ „გოჯს“ ქართული სიტყვა „ძველის“ მნიშვნელობით ხსნიდა და სიტყვა გონჯს უსადაგებდა (ცუდი, უსახური, ე.ი. ძველი) და თვლიდა, რომ ბერძნული „არქეოპოლისი“ (ციხე გოჯის მოგვიანო სახელწოდება) ციხე-გონჯის თარგმანს წარმოადგენს. ნ. ბერძენიშვილი – ციხე-გოჯის ეტიმოლოგიას შემდეგნაირად ხსნის: არსებობდა სვანური სიტყვა ქორი, რაც ქართულად სადგომს ნიშნავს. მოგვიანებით მოხდა მისი მეგრელიზაცია: ქორი – ქოჯი - გოჯი. ციხე-გოჯის გვიანდელი ლაზურ-მეგრული სახელწოდებაა – ნოქალაქევი, ქართულად ნაქალაქევი).

ქართული საისტორიო მწერლობა დასავლეთ საქართველოში კიდევ ორი ციხე-სიმაგრის აღმშენებლად ასახელებს მეფე ფარნავაზს; „ქართლის ცხოვრებაში“ ვკითხულობთ: ფარნავაზმა „ერთი გაგზავნა მარგჳს (იგივე მარგვეთი, არგვეთი) ერისთავად, და მისცა მცირით მთითგან, რომელ არს ლიხი, ვიდრე ზღუ|რ|ადმდე /ეგრისისა/, რიონს ზემოთ. და ამანვე ფარნავაზ აღაშენნა ორნი ციხენი შორაპანი და დიმნა“.

(გაგრძელება შემდეგ ნომერში)

ზურაბ თოლორდავა

სადეპუტატო სიტყვა

ბაღდათის მუნიციპალიტეტში, ისევე როგორც საქართველოს ყველა მუნიციპალიტეტში, ფუნქციონირებს მაჟორიტარი დეპუტატის ბიურო. ჩვენს მუნიციპალიტეტში დღეისათვის მოქმედმა დეპუტატმა **პაატა კიკნაველიძემ** *საქმიანობა 2013 წლის ივნისიდან დაიწყო. "ჩემი გაზეთის" ჟურნალისტები ბატონ პაატასა და* **კობა კიკნაველიძეს** *(ბაღდათის მუნიციპალიტეტის მაჟორიტარი დეპუტატის ბიურის ხელმძღვანელი) გაწეული სამუშოების შეფასებისა და მოსახლეობასთან ურთიერთობის შესახებ სასაუბროდ ვეწვიეთ. ბატონი კობას თქმით, მათ მუშაობას ნაყოფიერად და დადებითად აფასებს, ბიურომ თავისი დანიშნულება და ფუნქციები პირნათლად შეასრულა. ბაღდათის მკვიდრნი მაჟორიტარი დეპუტატის ბიუროში თავიანთი პრობლემებით მიდიოდნენ და შეძლებისდაგვარად ხდებოდა მათი მოგვარება. 2013 წლის ივნისიდან დღემდე ბიუროში მიღებულია 370-მდე განცხადება, მუნიციპალიტეტის სხვადასხვა სოფელში მოეწყო 36 გასვლითი შეხვედრა და ასევე 72 კაბინეტური შეხვედრა. ბიუროში შესულ ყველა განცხადებას პასუხი ეცემოდა წერილობით. ბატონი კობას თქმით, მოსახლეობის პრობლემების მოგვარებას ხშირად თვითონაც ახერხებდნენ, თუმცა, იყო შემთხვევები, როდესაც დეპუტატის ჩარევა აუცილებელი იყო. მოსახლეობასთან შეხვედრებით გამოიკვეთა რამდენიმე ძირითადი პრობლემა: სოციალური დახმარების პროგრამა, უმუშევრობა, ჯანმრთელობის დაცვა და სხვა. მათი უმრავლესობის მოგვარება ხდებოდა, ზოგ შემთხვევაში კი რეკომენდაციები იცემოდა. მაგალითად, დასაქმებასთან დაკავშირებით ბიუროს მიერ გაცემული რეკომენდაციით რამდენიმე პიროვნება დასაქმდა. მაჟორიტარი დეპუტატის ბიურო ასევე აქტიურად იყო ჩართული სხვადასხვა ღონისძიებაში პრიზებისა და საჩუქრების სახით, მაღალმთიან სოფლებს გადასცეს საახალწლო ნობათი, შშმ პირებს შეუძინეს სპორტული კომპლექტი, სპორტულ სკოლას გაუწიეს დახმარება ტექნიკური ინვენტარების სახით და ა.შ.*

გთავაზობთ ინტერვიუს ბაღდათის მუნიციპალიტეტის დეპუტატ **პაატა კიკნაველიძესთან**.

როგორ შეაფასებთ მერვე მოწვევის პარლამენტისა და თქვენი, როგორც მისი წევრის 4 წლიან საქმიანობას.

მერვე მოწვევის პარლამენტს საკმაოდ რთული მისია ხვდა წილად – შეექმნა საკანონმდებლო ბაზა რეფორმებისთვის, რომელთაც საზოგადოებრივი ცხოვრების თითქმის ყველა სფერო უნდა მოეცვა: ჯანდაცვა, მართლმსაჯულება, საგადასახადო და საბიუჯეტო სისტემები და სხვა.

ახლა, როცა მერვე მოწვევის პარლამენტის უფლებამოსილების ვადა ფაქტობრივად ამოიწურა, თამამად შეიძლება ითქვას, რომ პარლამენტმა, როგორც ქვეყნის საკანონმდებლო ორგანომ მისთვის დასახულ ამოცანას წარმატებით გაართვა თავი, რაზეც მეტყველებს მის მიერ მიღებული კანონები, როგორც რაოდენობრივ, ისე თემატურ და ხარისხობრივ ჭრილში. განსაკუთრებით მნიშვნელოვანია პარლამენტის მიერ მიღებული ის კანონები, რომლებიც ჩვენი კანონმდებლობის ევროკავშირის ქვეყნების კანონმდებლობასთან ჰარმონიზაციას ემსახურებოდა. ამან შესაძლებელი გახადა ევროკავშირთან ასოცირებისა და ღრმა და ყოვლისმომცველი ვაჭრობის შესახებ ხელშეკრულების დადება, ასევე ვიზალიბერალიზაციის სამოქმედო გეგმის შესრულება.

ცალკე გამოვყოფდი პარლამენტის მიერ მიღებულ რამდენიმე საკანონმდებლო აქტს: დაზღვევის კანონმდებლობის რეფორმა, რომლის საფუძველზეც დაინერგა საყოველთაო ჯანდაცვის პროგრამა; კანონი „სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივის შესახებ", რომელმაც საფუძველი დაუდო სოფლის მეურნეობის პირველადი და გადამამუშავებელი წარმოების მხარდაჭერის პროგრამებს, მათ შორის, საგადასახადო შეღავათებს; კანონი „სახელმწიფო უსაფრთხოების შესახებ", რომლითაც გაიმიჯნა საზოგადოებრივი წესრიგის დაცვისა და სახელმწიფო უსაფრთხოების ფუნქციები, ჩამოყალიბდა სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახური, რომელიც თავისუფალია პოლიციური ფუნქციებისაგან და პასუხისმგებელი ქვეყნის საშინაო და საგარეო უსაფრთხოებაზე; კანონი „სკოლამდელი აღზრდისა და განათლების შესახებ", რომელიც 2017 წლის 1 იანვრიდან შევა ძალაში და საბავშვო ბაგა-ბაღების მართვისა და ფუნქციონირების ერთიან სტანდარტებს აწესებს, ასევე ბაგა-ბაღების აღმზრდელებს ანიჭებს პედაგოგის სტატუსს, აქედან გამომდინარე სამართლებრივი და სოციალური შედეგებით.

ჩემი, როგორც საკანონმდებლო ორგანოს წევრის ფუნქცია და ამოცანაც ხარისხიანი საკანონმდებლო აქტების მიღება გახლდათ. ფართო საზოგადოებისათვის საკანონმდებლო პროცესის უფრო გარეგნული მხარეა ცნობილი, რაც

დაკავშირებულია კანონპროექტთა პლენარულ სხდომებზე განხილვა-მიღებასთან. თუმცა ეს კანონპროექტის მიღების ბოლო სტადიაა. მას უძღვის კანონპროექტთა განხილვა კომიტეტებზე, სამუშაო შეხვედრებზე, სადაც მონაწილეობენ დაინტერესებული უწყებები, არასამთავრობო სექტორი, სხვა დაინტერესებული პირები. ხშირად კონკრეტული კანონპროექტის ინიცირებიდან პლენარულ სხდომაზე განხილვამდე თვეები და ზოგჯერ წლებიც გადის. ერთი მხრივ, ეს საინტერესო პროცესია, თუმცა მეორე მხრივ, რთული და ზოგჯერ დამღლელიც.

ჩემთვის, როგორც პარლამენტის წევრისთვის განსაკუთრებით მნიშვნელოვანია, რომ შევძელი მომეპოვებინა კოლეგების მხარდაჭერა ჩემს მიერ ინიცირებულ კანონპროექტების მისაღებად. ყურადღებას გავამახვილებ რამდენიმე მათგანზე: გამოსახლების ინსტიტუტის რეფორმასთან დაკავშირებული კანონები, რომლებიც გულისხმობდა შესაბამის ცვლილებებს ოთხ საკანონმდებლო აქტში - სამოქალაქო კოდექში, სამოქალაქო საპროცესო კოდექსში, პოლიციისა და სააღსრულებო წარმოებათა შესახებ კანონებში. ამ რეფორმის შედეგად, აიკრძალა სასამართლო გადაწყვეტილების გარეშე ფიზიკური და იურიდიული პირების გამოსახლება მათ მიერ დაკავებული საცხოვრებელი და არასაცხოვრებელი ფართებიდან. სხვათა შორის, ამ რეფორმას სერიოზული წინააღმდეგობა შეხვდა საბანკო ასოციაციის, მიკროსაფინანსო ორგანიზაციების ასოციაციის, სხვადასხვა სამინისტროების, ბიზნეს-ომბუდსმენის ოფისისა და არასამთავრობო სექტორის გარკვეული წარმომადგენლების მხრიდან. ამგვარი წინააღმდეგობის მიუხედავად, კანონპროექტთა პაკეტმა მოიპოვა პარლამენტის წევრთა მხარდაჭერა და ორწლიანი საკანონმდებლო პროცესის შემდეგ პაკეტი კანონად იქცა.

გამოვყოფდი ასევე კანონს „საცხოვრებელი სადგომით სარგებლობისას წარმოშობილი ურთიერთობების შესახებ", რომელმაც დაარეგულირა ე.წ. „ატსტუპნიკების" პრობლემა, რაც სამოქალაქო კოდექსის ამოქმედებიდან ოცი წლის მანძილზე მოუგვარებელი იყო; გამოვყოფდი ასევე კანონს ძებნაში მყოფ სატრანსპორტო საშუალებების შესახებ, რომლითაც გაფართოვდა ასეთი სატრანსპორტო საშუალებების კეთილსინდისიერ შემძენთა უფლებები.

როგორი იყო თქვენი ურთიერთობა მოსახლეობასთან და რა მნიშვნელობა პრობლემები გამოიკვეთა ბაღდათის მუნიციპალიტეტში?

მოსახლეობასთან ურთიერთობა მნიშვნელოვანია როგორც საკანონმდებლო, ისე აღმასრულებელი ხელისუფლების ორგანოებისთვის, რადგან ამ პროცესში ხშირად იკვეთება პრობლემები, რომელიც გადაწყვეტას მოითხოვს ან კანონის, ან მისი აღსრულების პრაქტიკის დონეზე. ამომრჩეველთან ურთიერთობის ფორმები კანონმდებლობით გაწერილი არ არის და მთლიანად პოლიტიკურ პრაქტიკას არის მინდობილი. ძირითადად, მოსახლეობასთან ურთიერთობის შემდეგი ფორმებია მიღებული: ინდივიდუალური შეხვედრები ცალკეულ მოქალაქეებთან და კოლექტიური შეხვედრები ტერიტორიული, თემატური ან პროფესიული ნიშნით. არსებობს ასევე წერილობითი ურთიერთობის ფორმაც, როცა კონკრეტული მოქალაქე თუ ორგანიზაცია ითხოვს გარკვეული საკანონმდებლო ღონისძიების განხორციელებას და ზოგჯერ ამ ღონისძიების საკუთარ ვერსიასაც გთავაზობს.

რამდენიმე საკანონმდებლო ინიციატივის იდეა პირადად მე მოსახლეობასთან შეხვედრისას გამოთქმული მოსაზრებების შედეგად დამებადა. მაგალითისათვის მოვიყვან რამდენიმე კერძო შემთხვევას: საჯარო სკოლების პედაგოგებს კანონით გააჩნდათ და გააჩნიათ უფლება, ხელფასთან ერთად მიიღონ სახელმწიფო პენსია ან კომპენსაცია. სკოლის სხვა თანამშრომლები (ლაბორანტები, ბიბლიოთეკარები, ბუღალტრები და და ა.შ.) ასეთი უფლებით არ სარგებლობდნენ. ერთ-ერთმა ამომრჩეველმა ჩემთან ასეთი საკანონმდებლო რეგულირების უსამართლობის საკითხი დასვა. ამას შედეგად მოჰყვა შესაბამისი საკანონმდებლო ცვლილება, რომლითაც გაიზარდა იმ პირთა წრე, რომელთაც ხელფასისა და სახელმწიფო პენსიის ერთდროულად მიღების უფლება აქვთ. ამ წრეში შევიდა არა მხოლოდ საჯარო სკოლების ტექნიკური პერსონალი, არამედ, ზოგადად, განათლების, მეცნიერებისა და კულტურის სფეროში დასაქმებული ყველა პირი; ასეთივე გზით გაჩნდა და განხორციელდა სოციალური დახმარების შესახებ კანონში ცვლილების იდეა, რომლის შედეგად ჩვენს მოქალაქეებს ჩამოეწერათ დავალიანება, რაც წარმოქმნილი იყო საარსებო შემწეობისა და სახელმწიფო პენსიის ზედმეტად დარიცხვისა და გაცემის გამო; იგივე შემიძლია ვთქვა სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის მე-80 მუხლის ცვლილებაზე, რომელმაც გააფართოვა ძებნაში მყოფი სატრანსპორტო საშუალების კეთილსინდისიერ შემძენთა უფლებები. ამ საკანონმდებლო ცვლილების იდეა გამიჩნდა რამდენიმე მოქალაქის, მათ შორის, ბაღდათის მცხოვრების, განცხადებათა შესწავლის შედეგად. შესაბამისი საკანონმდებლო აქტის პროექტმა მოიპოვა პარლამენტის წევრთა მხარდაჭერა და კანონად იქცა.

თქვენ ხართ პარლამენტის იურიდიულ საკითხთა კომიტეტის თავმჯდომარის პირველი მოადგილე. რა მნიშვნელოვანი კანონები მიიღეს და რა კანონის მიღება ვერ მოხერხდა თქვენი იქ მუშაობის პერიოდში.

პარლამენტის მიერ მიღებულ მნიშვნელოვან კანონთა ნაწილზე ზემოთ უკვე ვისაუბრეთ. ამ ჩამონათვალს დავამატებდი სასამართლო რეფორმის პირველი და მეორე ტალღის საკანონმდებლო პაკეტს, სასჯელაღსრულების სისტემის რეფორმასთან დაკავშირებულ კანონებს, სისხლის სამართლისა და საპროცესო სამართლის კოდექსებში შეტანილ ცვლილებებს და ა.შ.

საზოგადოდ, მისი ფართო პროფილის გამო, იურიდიულ საკითხთა კომიტეტში წინასწარ განხილვას ექვემდებარება პარლამენტის მიერ მისაღები საკანონმდებლო აქტების 90 პროცენტზე მეტი. ამიტომ იურიდიულ საკითხთა კომიტეტი, სხვა კომიტეტებთან შედარებით, ტრადიციულად ყველაზე უფრო მეტადაა დატვირთული.

სამწუხაროდ, ვერ მოხერხდა სასამართლო რეფორმის მესამე ტალღის საკანონმდებლო პაკეტის სამივე მოსმენით მიღება. მხოლოდ ორი მოსმენა მოვასწარით, მესამე მოსმენით მისი მიღება მომავალი მოწვევის პარლამენტს მოუწევს. ასევე ვერ მოხერხდა საპენსიო სისტემის რეფორმასთან დაკავშირებული პაკეტის მიღება. ეს რეფორმა გულისხმობს დაგროვებითი პენსიის სისტემაზე გადასვლას. სამწუხაროდ, ვერ მოხერხდა ასევე ჩემს მიერ მომზადებული პაკეტის მიღება, რომელიც ითვალისწინებს სახელმწიფოსათვის უსასყიდლოდ გადაცემული ქონების რესტიტუციასა და კომპენსაციას. ამ ჩამონათვალის გაგრძელება კიდევ შეიძლება. ერთი სიტყვით, მომავალი მოწვევის პარლამენტსაც საკმარისი სამუშაო ექნება.

როგორც ვიცით მაჟორიტარული საარჩევნო სისტემა უქმდება, თქვენი მოსაზრება ამ საკითხთან დაკავშირებით.

ვერ ვიტყოდი, რომ ეს საკითხი ცალსახად გადაწყვეტილია. მოქმედი კონსტიტუციით ჩვენი საარჩევნო სისტემა „შერეულია" – ანუ დეპუტატთა ნაწილი აირჩევა მაჟორიტარული სისტემით, ნაწილი – პროპორციულით. მაჟორიტარული საარჩევნო სისტემის გაუქმება კონსტიტუციაში შესაბამისი ცვლილების შეტანას მოითხოვს, რასაც თავის მხრივ საკმაოდ მაღალი კვორუმი ესაჭიროება.

რაც შეეხება საკითხის პოლიტიკურ მხარეს. მე არ მივეკუთვნები ადამიანთა იმ კატეგორიას, რომლებიც თვლიან, რომ პროპორციული საარჩევნო სისტემა უფრო დემოკრატიულია, ვიდრე მაჟორიტარული. ცნობისათვის ამერიკის შეერთებულ შტატებსა და დიდ ბრიტანეთში ყველა დონის არჩევნები მაჟორიტარული სისტემით ტარდება. ხოლო ყაზახეთში – პროპორციული სისტემით. ამის მიუხედავად, ვერ ვიტყვით, რომ აშშ-ში ან ინგლისში ნაკლები ხარისხის დემოკრატიაა, ვიდრე ყაზახეთში.

პლუს-მინუსები ორივე სისტემას გააჩნია. ამიტომ წმინდა პროპორციული ან წმინდა მაჟორიტარული სისტემა მხოლოდ რამდენიმე ქვეყანაში არსებობს. ქვეყნების უმრავლესობა შერეულ სისტემას ირჩევენ, რადგან მიჩნეულია, რომ ამით მაქსიმალურად ბალანსდება თითოეული სისტემისათვის დამახასიათებელი უარყოფითი მხარეები. საერთოდ, მიმაჩნია, რომ ისეთი მნიშვნელოვანი საკითხი, როგორიც საარჩევნო სისტემის შეცვლაა, რეფერენდუმის გზით უნდა გადაწყდეს.

ანა ქორიძე

ერთი სამსახურის ერთი დღე

„ჩემი გაზეთის“ რუბრიკა – „ერთი სამსახურის ერთი დღე“ ამჯერად ბაღდათის მუნიციპალიტეტის გამგეობის ადმინისტრაციული სამსახურის წარმომადგენელთა კოორდინაციის განყოფილების მუშაობის შესახებ მოგითხრობთ. მან ეს სახელწოდება 2016 წლის ზაფხულიდან მიიღო (საკრებულომ განკარგულება აგვისტოში მიიღო), მანამდე ის წარმომადგენელთა აპარატის სახელწოდებით იყო ცნობილი. ამჟამად ადმინისტრაციული სამსახურის წარმომადგენელთა კოორდინაციის განყოფილებას იგივე ფუნქციები აქვს, რაც ადრე ჰქონდა, უბრალოდ, სამსახური განყოფილებად გადაკეთდა. მის სტრუქტურაში უკეთ გარკვევის მიზნით "ჩემი გაზეთის" გუნდი ესაუბრა ადმინისტრაციული სამსახურის წარმომადგენელთა კოორდინაციის განყოფილების უფროსს – **მარეხ მშვენიერაძეს.**

ბაღდათის მუნიციპალიტეტის გამგეობის ადმინისტრაციული სამსახურის წარმომადგენელთა კოორდინაციის განყოფილება ორგანიზებას უწევს მუნიციპალიტეტის 15 სოფელში გამგებლის წარმომადგენლის საქმიანობას. აღნიშნულ განყოფილებას სოფლებში ჰყავს მიმაგრებული სპეციალისტები. დღეისათვის აქ სულ დასაქმებულია

17 ადამიანი, მათ შორის 2 ტექნიკური მუშაკი.

აღნიშნული განყოფილება ახორციელებს გამგებლის წარმომადგენლების კოორდინაციას. ერთ-ერთი ძირითადი ფუნქცია წარმომადგენელთა კოორდინაციის განყოფილებისა არის კორესპონდენციის წარმოება. იმის გამო, რომ გამგებლის წარმომადგენლებს ადგილზე არა აქვთ მოსახლეობისთვის საჭირო სამართლებრივი აქტებისა და სხვა აუცილებელი დოკუმენტაციის გაცემის საშუალება (მაგალითად, არა აქვთ ბეჭედი), ამიტომ მოსახლეობის განცხადებები მიიღება ბაღდათის მუნიციპალიტეტის გამგეობაში, კერძოდ, კანცელარიაში და განსახილველად წარმომადგენლებს სოფლების მიხედვით უნაწილდებათ. შემდეგ ისინი ამზადებენ მოხსენებით ბარათს, რომლის საფუძველზეც განყოფილება იძლევა განცხადების პასუხს ან განმცხადებლის მიერ მოთხოვნილ ცნობას და ამის შემდეგ იგზავნება ხელმოსაწერად გამგებელთან, ამ შემთხვევაში გამგებლის მოვალეობის შემსრულებელთან. ეს არის მათი ყოველდღიური საქმიანობა.

ბაღდათის მუნიციპალიტეტის გამგეობის ადმინისტრაციული სამსახურის წარმომადგენელთა კოორდინაციის განყოფილება ორგანიზებას უწევს გამგებელთან წარმომადგენლების თათბირებს, ამზადებს მთელ რიგ განსახილველ საკითხებს, წარმომადგენლებისგან იღებს ინფორმაციას ამა თუ იმ მიმდინარე პროექტების შესახებ. ამჟამად აქტუალურია სოფლის მხარდაჭერის პროგრამები და ყოველდღიურად ხდება მასთან დაკავშირებული ინფორმაციის გაცვლა-გამოცვლა. აღნიშნულ პროგრამაში წარმომადგენელთა კოორდინაციის განყოფილებასთან ერთად ჩართულია ბაღდათის მუნიციპალიტეტის ინფრასტრუქტურის განვითარების სამსახური, ვინაიდან საქმე გვაქვს ინფრასტრუქტურულ პროექტებთან. ზოგადად, გამგებლის წარმომადგენლებს თითქმის ყველა სამსახურთან აქვთ ურთიერთობა და ეს ყველაფერი კოორდინაციის განყოფილების მეშვეობით ხორციელდება.

წარმომადგენელთა კოორდინაციის განყოფილება ასევე ორგანიზებას უწევს სოფლის მხარდაჭერის პროგრამებს, კერძოდ, ხვნა-თესვის ვაუჩერიზაციის პროცესს და სხვა მრავალ პროექტს.

რაც შეეხება გამგებლის წარმომადგენელს, ის არის მაკავშირებელი რგოლი გამგეობასა და ხალხს შორის. კერძოდ: იგი უზრუნველყოფს ადმინისტრაციული ერთეულის მოსახლეობის კავშირს გამგეობასთან და ადგილობრივი თვითმმართველობის თანამდებობის პირებთან, აცნობს მათ მუნიციპალიტეტის თანამდებობის პირების მიერ მიღებულ გადაწყვეტილებებს; უზრუნველყოფს მოსახლეობასთან მუნიციპალიტეტის თანამდებობის პირებისა და საკრებულოს წევრების შეხვედრების ორგანიზებას; ახორციელებს კონტროლს მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ ერთეულში ინფრასტრუქტურის განვითარების, კეთილმოწყობის, გამწვანების, გარე განათებისა და კომუნალური მეურნეობის სფეროში განხორციელებულ ღონისძიებებზე; ზედამხედველობას უწევს ადმინისტრაციული ერთეულის ტერიტორიის ფარგლებში მიმდინარე მშენებლობებს; გამგებლის მოთხოვნის შესაბამისად ამზადებს და წარადგენს ინფორმაციას შესაბამის დასახლებაში მოსახლეობის რაოდენობის, პირის დაბადების, გარდაცვალებისა და სამოქალაქო აქტების რეგისტრაციის შესახებ, აგრეთვე გამგეობას აწვდის ცნობებს მოსახლეობის ელექტროენერგიით, ბუნებრივი აირით, შეშით, სასმელი და სარწყავი წყლით უზრუნველყოფის მდგომარეობის შესახებ.

გამგებლის წარმომადგენელი ამზადებს წინადადებებს ადმინისტრაციული ერთეულის სოციალურ-ეკონომიკური განვითარების პრიორიტეტების შესახებ; მონაწილეობს ადმინისტრაციული ერთეულის სოციალურ-ეკონომიკური განვითარების პროგრამებისა და გეგმების პროექტების შემუშავებაში და აკონტროლებს ამ პროგრამების განხორციელებას; ახდენს იმ პირთა აღრიცხვის ორგანიზებას, რომელთა დახმარება ხდება ადგილობრივი ბიუჯეტიდან; მონაწილეობს მოქალაქეთა სამხედრო აღრიცხვაზე აყვანისა და სამხედრო სავალდებულო სამსახურში გაწვევის, სამხედრო-სასწავლო შეკრებების ჩატარების, დაწყებითი სამხედრო სწავლების, სამხედრო-პატრიოტული აღზრდისა და სამოქალაქო თავდაცვის ორგანიზების საკითხებში; მონაწილეობს კატასტროფების, სტიქიური უბედურებებისა და ეპიდემიების სალიკვიდაციო ღონისძიებების გატარებაში და ა.შ.

მარიამ ოქროჭელიძე

არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების კანონმდებლობის ზოგადი პრინციპები

2016 წლის 1 იანვრიდან ამოქმედდა და ძალაში შევიდა საქართველოს კანონი არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების განხორციელების შესახებ, რომელიც ადგენს არასრულწლოვნის ადმინისტრაციული და სისხლის სამართლებრივი პასუხისმგებლობის, არასრულწლოვნის მონაწილეობით ადმინისტრაციული სამართალდარღვევის საქმის წარმოებისა და სისხლის სამართლის პროცესის თავისებურებებს, ასევე სასჯელისა და სხვა ზომების აღსრულების სპეციალურ წესებს.

არასრულწლოვნად ითვლება პირი, რომელსაც ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ჩადენის მომენტისათვის შეუსრულდა 16 წელი, მაგრამ არ შესრულებია 18 წელი, ხოლო სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის მიზნებისათვის პირი, რომელსაც დანაშაულის ჩადენის მომენტისათვის შეუსრულდა 14 წელი, მაგრამ არ შესრულებია 18 წელი.

კანონთან კონფლიქტში მყოფი არასრულწლოვანის პასუხისმგებლო-ბის მინიმალური ასაკი სისხლის სამართლებრივი პასუხისმგებლობისათვის 14 წელია, ხოლო ადმინისტრაციული პასუხისმგებლობისათვის — 16 წელი.

კანონმდებლობით დაუშვებელია არასრულწლოვანისთვის თავისუფლების შეზღუდვა, თუ კანონით განსაზღვრული მიზნის მიღწევა უფრო მსუბუქი ზომის გამოყენებით არის შესაძლებელი. ამასთან არასრულწლოვანის დაკავება, მისთვის თავისუფლების შეზღუდვა და თავისუფლების აღკვეთა დასაშვებია მხოლოდ უკიდურესი ღონისძიება, რომელიც, შეძლებისდაგვარად, მოკლე ვადით და რეგულარული გადასინჯვის პირობით უნდა იქნას გამოყენებული.

კანონთან კონფლიქტში მყოფ არასრულწლოვანს, არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების პროცესში უშუალოდ ან კანონიერი წარმომადგენლის მეშვეობით აქვს მონაწილეობის უფლება. ასევე არასრულწლოვნის ადვოკატს უფლება აქვს არასრულწლოვნის კანონიერი წარმომადგენლის წერილობითი თანხმობით, არასრულწლოვნის ნებისგან დამოუკიდებლად შეიტანოს საჩივარი ან უარი თქვას მასზე, თუ ეს შეესაბამება არასრულწლოვნის საუკეთესო ინტერესებს.

არასრულწლოვანთა პირადი ცხოვრების დაცულობა უზრუნველყოფილია არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების პროცესის ნებისმიერ სტადიაზე, ასევე მის მიმართ გადაწყვეტილების მიღებისას გაითვალისწინება მისი ასაკი, განვითარების დონე, ცხოვრების, აღზრდისა და განვითარების პირობები, განათლება, ჯანმრთელობის მდგომარეობა, ოჯახური ვითარება და სხვა გარემოებები.

სისხლის სამართლის საქმის წარმოების ნებისმიერ სტადიაზე არასრულწლოვანი – ბრალდებული, მსჯავრდებული, გამართლებული და დაზარალებული, სარგებლობს უფასო იურიდიული დახმარების უფლებით, ასევე თარჯიმნის მომსახურეობის უფასო მიღების უფლებით, კანონიერი წარმომადგენლის ან საპროცესო წარმომადგენლის თანხლების უფლებით და საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული სხვა უფლებებით.

რაიონულ ან საქალაქო სასამართლოში არასრულწლოვნის საქმეს განიხილავს არასრულწლოვანთა მართლმსაჯულებაში სპეციალიზებული მოსამართლე, არასრულწლოვნის საქ-მეს იძიებს არასრულწლოვანთა მართლმსაჯულებაში სპეციალიზებული გამომძიებელი და საპროკურორო საქ-მიანობას ასევე ახორციელებს არასრულწლოვანთა მართლმსაჯულებაში სპეციალიზებული პროკურორი.

არასრულწლოვანთა საქმეს აწარმოებს არასრულწლოვანთა მართლმსაჯულებაში სპეციალიზე-ბული ადვოკატი, რომელიც კანონით გათვალისწინებულ შემთხვევაში არასრულწლოვანს პირველი მოთხოვნილებისთანავე, უმოკლეს ვა-დაში, უზრუნველყოფს იურიდიული დახმარებით. ამასთან აუცილებელია, არასრულწლოვან ბრალდებულს, მსჯავრდებულს ან გამართლებულს, საქმის წარმოების ნებისმიერ სტადიაში იცავდეს ადვოკატი.

არასრულწლოვნის საქმე დახურულ სასამართლო სხდომაზე განიხილება, რომელსაც ესწრება მისი კანონიერი წარმომადგენელი, საჭიროების შემთხვევაში – ფსიქოლოგი, აგრეთვე არასრულწლოვნის ადვოკატი.

კანონმდებლობა კრძალავს არასრულწლოვნის წინააღმდეგ ცეცხლსასროლი იარაღის გამოყენებას, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც იგი შეიარაღებულია და პირდაპირ და უშუალო იმწუთიერ საფრთხეს უქმნის მესამე პირის სიცოცხლეს ან ჯანმრთელობას და სხვა საშუალებებით ამ საფრთხის თავიდან აცილება აუცილებელია.

სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობისგან შეიძლება გათავისუფლდეს არასრულწლოვანი, რომელიც დანაშაულის ჩადენის დროს შეზღუდული შერაცხადობის მდგომარეობაში იმყოფებოდა.

დანაშაული ჩადენის შემთხვევაში არასრულწლოვანის დამკავებელი პირი, გამომძიებელი, პროკურორი, მისი დაკავებისთანავე იღებს ყველა საჭირო ზომას, რათა არასრულწლოვნის მშობლებს, ხოლო, თუ ეს შეუძლებელია, სხვა ახლო ნათესავს დაუყოვნებლივ დაუკავშირდეს. დაკავებული არასრულწლოვანი დროებითი მოთავსების იზოლატორში სრულწლოვანთაგან განცალკავებით თავსდება. იგი არ შეიძლება დაიკითხოს 22 საათიდან 08 საათამდე. არასრულწლოვანი ბრალდებულის საქმე ნაფიც მსაჯულთა მონაწილეობით არ განიხილება.

არასრულწლოვანი ბრალდებულის მიმართ აღმკვეთის ღონისძიების სახით შეიძლება გამოყენებულ იქნას: მეთვალყურეობაში გადაცემა, შეთანხმება გაუსვლელობისა და სათანადო ქცევის შესახებ, პირადი თავდებობა, გირაო და უკიდურესი ზომა პატიმრობა.

კანონმდებლობით განსაზღვრულია არასრულწლოვნის სასჯელის სახეები, კერძოდ:

- ჯარიმა
- შინაპატიმრობა
- საქმიანობის უფლების ჩამორთმევა
- საზოგადოებისათვის სასარგებლო შრომა
- თავისუფლების შეზღუდვა
- ვადიანი თავისუფლების აღკვეთა.

14 დან 16 წლამდე ასაკის არასრულწლოვნისათვის დანიშნული თავისუფლების აღკვეთის სასჯელის ვადა არ უნდა აღემატებოდეს 10 წელს, ხოლო 16 დან 18 წლამდე ასაკის არასრულწლოვნისათვის 12 წელს.

თუ არასრულწლოვანმა, რომელიც განზრახი დანაშაულისათვის მსჯავრდებული არ ყოფილა, ნაკლებად მძიმე ან მძიმე დანაშაული ჩაიდინა, სასამართლო უფლებამოსილია დაადგინოს, რომ დანიშნული სასჯელი პირობით მსჯავრად ჩაითვალოს.

არასრულწლოვანი ბრალდებული ან მსჯავრდებული უზრუნველყოფილი უნდა იყოს, რეგულარული სამედიცინო შემოწმებით, საჭირო მკურნალობით, პრევენციული სამედიცინო მომსახურეობითა და სპეციალური სამედიცინო ინვენტარით, ამასთან საშუალება უნდა ჰქონდეს მიიღოს სრული ზოგადი განათლება. დაწყებითი განათლებისა და საბაზო განათლების მიცემა სავალდებულოა. არასრულწლოვან ბრალდებულს ან მსჯავრდებულს უფლება აქვს ანაზღაურებადი სამუშაოს შესრულებისა სწავლისაგან თავისუფალ დროს, ამასთანავე სწავლისა და მუშაობის დრო არ უნდა აღემატებოდეს დღეში 8 საათს. არასრულწლოვანი ბრალდებული ან მსჯავრდებული უზრუნველყოფილი უნდა იყოს ყოველდღიური სპორტული – გამაჯანსაღებელი აქტივობით და სეირნობის უფლებით. არასრულწლოვან მსჯავრდებული აქვს ოჯახთან და გარე სამყაროსთან ხშირი და რეგულარული კონტაქტის უფლება, ასევე უფლება აქვს, წელიწადში სამჯერ ისარგებლოს თავისუფლების აღკვეთის დაწესებულების გარეთ ხანმოკლე გასვლით.

პირობითი მსჯავრისა და სასჯელი მოხდის შემდეგ არასრულწლოვანი გადაეცემა კანონიერ წარმომადგენელს ან საჭიროების შემთხვევაში მეურვეობისა მზრუნველობის ორგანოს.

პირობითი მსჯავრისა და სასჯელის მოხდის შემდეგ არასრულწლოვანის საზოგადოებაში რეინტეგრაციისათვის მის პრაქტიკულ და ფსიქოლოგიურ მხარდაჭერას უზრუნველყოფს დანაშაულის პრევენციის ცენტრი.

საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის ადვოკატი
ნიკოლოზ ღვალაძე

ბაღდათის მუნიციპალიტეტის ა.(ა.)ი.პ. ინფორმაციის, ეთნოკულტურისა და ტურიზმის განვითარების ფონდი
საქართველო, ბაღდათი, რუსთაველის ქ. №68
ტელ: 595 538 536; 595 452 803
ელ ფოსტა: sainformacioturizmi@gmail.com

რედაქტორი სოსო ჯოტორეიშვილი
„ჩემი გაზეთის“ გუნდი:
ანა ქორიძე, მარიამ ოქროჭელიძე,
ანჟელინა ჭავჭანიძე,
ანა ფხალაძე

გაზეთი დაჯაბადონდა
ი/მ მამუკა ჭოლაძის მიერ
დაიბეჭდა
შ.პ.ს. „ქოლორში“